პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 97 (19838) ქვირა, 26 აპრილი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ოჯახის სიხარული



ბედნიერი ქალია თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის გოგორწყვილების საამქროს ელექტროსეკციების ზეინკალთა მოწინავე კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი შოთა თაქთაქიშვილი, რომელსაც ახლახან ნანატრი ქალიშვილი შეეძინა. ასე რომ, შოთას ორ ვაჟთან — სოსოსთან და ზურაბთან ერთად მალე ნინოც ატიკტიკდება.

ამჟამად შოთა შვებულებაშია და მხარში უდგას თავის მეუღლეს — ნუნუს. დილ-დილობით მამა და შვილები ფრთხილად გამოაგორებენ ხოლმე ნინოს ეტლს და გულით ხარობენ. მერე ზურაბი სკოლისაკენ მიიჩქარის, სოსო კი თან ახლავს ეტლს საბავშვო ბაღამდე. სანამ დილის გასეირნება გრძელდება, დედა შინ საქმიანობს. დიახ, საზრუნავი მოემატათ, მაგრამ ეს ხომ სასიამოვნო საზრუნავია.

როგორ არის საქმე გოგორწყვილების საამქროში? ძალიან კარგად. შოთას ბედნიერებამ ბრიგადის წევრებსაც თითქოს ძალა შემატა და ახლა გასამკეცებული ენერგიით შრომობენ, პირნათლად ასრულებენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისა და მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის 1 მაისისათვის ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს.

სურათებზე: კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის წევრები (მარჯვნიდან) ა. გელაშვილი და პ. ჩაკვეტაძე საამქროს ოსტატთან გ. კენკებაშვილთან ერთად იხილავენ სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეულ შედეგებს; ასე იწყება დილა თაქთაქიშვილების ოჯახში.

ფ. ბრიმსკის ფოტო.

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

25 აპრილს გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეექვსე პლენუმი. პლენუმზე მოწვეული იყვნენ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, რაიკომის უფლებებს მქონე პარტკომების მდივნები, მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარენი, რომლებიც არ შედიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარენი, მსხვილ საწარმო-ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, მეცნიერებისა და კულტურის, მახობრივი ინფორმაციის საშუალებების, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო და სასაზღვრო ოლქების წარმომადგენლები.

პლენუმმა განიხილა საკითხი: რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები „გარდაქმნისა და პარტიის საკადრო პოლიტიკის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში.

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ტ. ვ. ლორთქიფანიძე, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ვ. ადლეიბა, საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ ლენინის სახელობის მაღაროთამამართველის გვირაბგამყვანი გ. ა. ტუმალაძე, საქართველოს კომპარტიის მარნეულის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ვ. კოშახიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ა. ნ. თავხელიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ო. გ. ვარაქალაშვილი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი — პოლიტსამმართველოს უფროსი ვ. ლ. გულევიჩი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი ბ. ბ. ქაშაკაშვილი, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. ალავიძე, საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე რ. ა. ჯაფარიძე, გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორი ნ. ბ. ჩერქეზიშვილი, თბილისის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების მშტამპავი ს. პ. ორლოვა, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ხ. ემირიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რესპუბლიკის სახვნომრეწვის თავმჯდომარე გ. დ. მგელაძე, საქართველოს კომპარტიის ახალქალაქის რაიკომის პირველი მდივანი ს. ბ. სტეფანიანი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის ხელმძღვანელი ლ. ბ. მარშანია, გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანების მრთველი ნ. გ. გელდიაშვილი, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი შ. ს. სანაკოევი, საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე ვ. მ. სირაძე, გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე რ. გ. მღებრიშვილი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ვ. მარგველიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი მ. მ. ხანანაშვილი, „თბილისგვირაბმშენის“ ზეინკალ-მემონტაჟეთა ბრიგადირი ა. ი. დათაშვილი, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორი რ. დ. ჩხეიძე, გარდაბნის რაიონის გაჩიანის საბჭოთა მეურნეობის ყოფილი ბრიგადირი, ამჟამად ბაქოს უმაღლესი პარტიული სკოლის მსმენელი ი. ტ. მუსაევი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი შ. ა. ამონაშვილი, საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე გ. დ. ლორთქიფანიძე, ეუროსალ „მნათობის“ მთავარი რედაქტორი ა. ს. სულაკაური, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი დ. ი. ჩხიკვიშვილი.

განხილული საკითხის გამო პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

პლენუმის მონაწილეებმა დაამტკიცეს რესპუბლიკური კომპლექსური პროგრამები „კადრები“, „საქართველო: მეცნიერება, ტექნიკა, ხარისხი-90“ და „დისციპლინის განმტკიცების, დემოკრატიზმის გაფართოებისა და გაღრმავების რეკომენდაციები“.

პლენუმზე დაამტკიცეს აგრეთვე სტატისტიკური ანგარიში 1987 წლის 1 იანვრისათვის საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შემადგენლობის შესახებ.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა ა. ნ. გლურჯიძე აირჩია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად და ბიუროს წევრად და დაამტკიცა იგი ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგედ.

პლენუმმა თ. ი. მოსაშვილი გაათავისუფლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატის მოვალეობისაგან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით, ამასთან გამოუცხადა მადლობა ბიუროს შემადგენლობაში მრავალი წლის აქტიური მუშაობისათვის.

იმასთან დაკავშირებით, რომ ი. ო. ანდრიაძე აირჩიეს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობის შემრულებლად, პლენუმმა იგი გაათავისუფლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველის თანამდებობიდან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველად დადგენილია თ. დ. რამიშვილი.

იმასთან დაკავშირებით, რომ რ. ბ. მემარნიშვილი გადაყვანილია სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „თავთავის“ გენერალური დირექტორისა და მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე, პლენუმმა იგი გაათავისუფლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის განყოფილების გამგის მოვალეობისაგან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის განყოფილების გამგედ დამტკიცებულია ი. ჯ. უბილავა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ვ. ა. კონდრატიევი.

პლენუმის მასალები გამოქვეყნდება პრესაში.

(საქინფორმი).

ამომრჩეველთა განაწესებით

ბევრი საზოგადოების განვითარების, ცხოვრების ყველა სფეროში მუშაობის გარდაქმნისა და დაჩქარებისათვის პარტიის მიერ დასახული ამოცანების ხორციშესხმაში სულ უფრო მრავალმხრივი ხდება სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების როლი და საქმიანობა. განსაკუთრებით ახლა, არჩევნებისათვის მზადების პერიოდში, ისინი უფრო აქტიურად, კონსტიტუციით მინიჭებული ფართო უფლებებისა და უფლებამოსილების გამოყენებით იღწვიან სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტისათვის. ჩვენი ადგილობრივი საბჭოების მუდმივი ყურადღების ცენტრშია წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება, სახმიღების მოთხოვნების შესაბამისად უბარკაცებისა და ქარხნების მუშაობის გარდაქმნა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებთა კეთილდღეობის გაუმჯობესების, სულიერი კულტურის ამაღლებისათვის ზრუნვა.

პარტიის XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხარეა იმ განაწესების უსტი შესრულება, რომლებსაც ამომრჩევლები აძლევენ თავიანთ წარმომადგენლებს საბჭოებში. არჩევნებისწინა კრებებზე მშრომელთა მიერ წამოჭრილ წინადადებათა, მოსაზრებათა და საერთოდ განაწესთა ორგანიზებულად შესრულებას უდიდესი პოლიტიკური, ეკონომიკური და აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. განაწესების კოლექტიური განხილვა, მათი შესასრულებლად ადგილობრივი ორგანოების მოქმედების პროგრამის განსაზღვრა და ამ საქმეში ასობით მშრომელის უშუალო მონაწილეობა ეხმარება საბჭოებს, დეპუტატებს გამოიმუშაონ აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, ახსნაულის და აჩვევს სახელმწიფოებრივად აზროვნებას, მასების გამოცდილების, ენერგიის საზოგადოების სასიკეთოდ და საეთილდღეოდ გამოყენებას. ასეთი მუშაობის ნაყოფი ახლა უფრო მკაფიოდ გამოჩნდება, რადგან არჩევნებისათვის მზადების დროს საბჭოებმა, დეპუტატებმა, მოსამართლეებმა თავიანთი ამომრჩევლებს უნდა ჩაბარონ ანგარიში იმის შესახებ, თუ როგორ იმუშავეს იმ წინადადებათა და დავალებათა შესასრულებლად, რომლებიც მათ მშრომელებმა მისცეს განაწესად.

ვრთი სიტყვით, წარსულ არჩევნებში მშრომელებმა მრავალი საქმიანი და კონკრეტული წინადადება წამოაყენეს. ცხადია, ამ განაწესთა დიდი ნაწილი უკვე განხორციელდა, ზოგის შესრულება ახლა მიმდინარეობს და შესაძლოა ნაწილი მომავალშიც გაგრძელდეს. ამ მხრივ სასურველ შედეგებს აღწევენ იქ, სადაც ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები მშრომელთა არჩევნებისწინა სურვილებს მოეკიდნენ როგორც უპირველესი მნიშვნელობის საქმეს, რომელიც დაკავშირებულია პარტიის საპროგრამო მითითებათა განხორციელებასთან. მაგალითად, გასულ არჩევნებში ამომრჩევლების მიერ ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებისათვის მიცემული 16695 განაწესიდან 14 ათასამდე უკვე შესრულდა. ამ მხრივ ერთგვარ მუშაობას ენევიან თელავის რაიონული, საქალაქო და სასოფლო საბჭოები, მათი აღმასრულებელი კომიტეტები. ამის შედეგად 249 განაწესიდან 205-ზე მეტი უკვე შესრულებულია. ამ განაწესთა უმრავლესობა გამიზნულია ქალაქისა და სოფლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, მათი კეთილმოწყობის, მოსახლეობის მომსახურების სფეროს მუშაობის გაუმჯობესებისა და სრულყოფისათვის. წინა არჩევნებიდან დღემდე აქ საკვებპროდუქციიდან გადაეცა საქკერვალო ფაბრიკის ახალი კორპუსი, სოფელ ყარაჯალის კულტურის სახლი და სოფელ ჯულაანის კლუბი, რაიონული საავადმყოფოს ცენტრალური გათბობის ხაქვაბე, შეკეთდა და კეთილმოეწყო გზები, მოედნები და ხეტრები, აშენდა საცხოვრებელი სახლები, სასოფლო საბჭოების ადმინისტრაციული შენობები, საავეჯო და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები.

ცხადია, ის, რაც გაკეთდა და მოგვარდა ამომრჩეველთა განაწესების შესრულებისათვის, კარგი და სანაქებოა, მაგრამ ჯერ კიდევ მრავალი დავალება ვერ სრულდება ჯეროვნად, ბევრგან ცალკეული საბჭოები, აღმასკომები არ აწესებენ სათანადო კონტროლს, ვერ იჩენენ მომხოვნელობას საწარმოდაწესებულებათა ხელმძღვანელისადმი. სწორედ ამიტომაა, რომ თელავის რაიონის ქვემო ხოდაშნის, შალაურის, გულგულის, სანიორის და ზოგიერთ სხვა საბჭოში სანახევროდაც არ არის შესრულებული განაწესები. რა თქმა უნდა, ასეთი ნაკლი და ხარვეზი მომავალში არ უნდა განმეორდეს.

სოციალისტური ეკონომიკის ახალი რეზერვების ამოქმედებისათვის, საბინაო მშენებლობის, ჯანმრთელობის დაცვის, სახალხო განათლების, კომუნალური და საყოფაცხოვრებო სამსახურების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის გამიზნული განაწესები გამოხატავენ ჩვენი ადამიანების ღვიძლ ინტერესებს. დეპუტატებისადმი, მოსამართლეებისადმი მიცემული განაწესებში ამომრჩევლები უწევენებენ მათ შრომის, ყოფა-ცხოვრების, სამართლიანობის, დასვენების პირობების სრულყოფის კონკრეტულ გზებს, ეხებიან სულ სხვადასხვა სფეროს. ამიტომ არის, რომ განაწესების შესრულებისადმი მიდგომაც უნდა იყოს არა შერჩევითი, არამედ სისტემატური, მოიცავდეს შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს, უბანსა და რგოლს. ამომრჩეველთა განაწესებზე ორგანიზებული მუშაობის დადებით მაგალითს გვიჩვენებენ ცხაკაიას, მცხეთის, ორჯონიკიძის, ვანის, მაიაკოვსკის და ზოგიერთი სხვა საბჭოების დეპუტატები, რომლებიც შედარებით უფრო აქტიურად მუშაობენ. ამ რეგიონებში უთუოდ ბევრი რამ გაკეთდა იმისათვის, რომ თითოეული კვარტალი, მიკრორაიონი, უბანი გამოირჩეოდეს წესრიგიანობით, კეთილმოწყობილობა და იერსახით.

უთუოდ აღსანიშნავია, რომ ახლა ჩვენში ბევრი ადგილობრივი საბჭო, დეპუტატთა ჯგუფი, ცალკეული დეპუტატი, რომლებიც ასრულებენ რა ამომრჩეველთა სურვილებს, წარმატებით უწევენ კოორდინაციას საწარმოების კოლექტივების მეცადინეობას, არეგულირებენ მათს სახსრებს ბინების, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების, კულტურის დაწესებულების ქსელის მშენებლობის გაფართოებისა და განვითარებისათვის. მაგრამ „კომუნისტის“ ფოსტა მოწმობს, რომ ამომრჩეველთა განაწესები ყველგან არ სრულდება ჯეროვანი წესითა და რიგით. არის ფაქტები, როცა განაწესების მიხედვით გეგმების შეადგენენ, ხოლო შემდეგ მათს განხორციელებას თვითდინებაზე უშვებენ, საბჭოები, დეპუტატები ივიწყებენ თავიანთ ორგანიზატორულ როლს. ასეთი სიგნალები მოდის ახმეტის, ახალციხის, გარდაბნის, ჩხოროწყუს, მარნეულის, თიანეთის და ზოგიერთი სხვა რაიონიდან და ქალაქიდან.

ადგილობრივი საბჭოების მუშაობის პრაქტიკა მოწმობს, რომ განაწესების შესრულებაში სიტყვები და საქმეები არ უნდა სცილდებოდნენ ერთმანეთს. საბჭო, დეპუტატი მთელი ენერგიითა და მონდომებით უნდა ზრუნავდეს მშრომელთა წინადადების განხორციელებისათვის. და, ცხადია, გზადაგზა, მუშაობის პროცესში ამომრჩევლები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ იმით, თუ როგორ სრულდება მათი განაწესები. უნდა შეექმნათ იმის პირობები, რომ მშრომელები ნათლად ხედავდნენ და ფაქტობრივად აკონტროლებდნენ განაწესების შესრულების მიმდინარეობას. ამისათვის უნდა გამოიყენოთ აღმასკომების სამსახურებისა და დეპუტატების ანგარიშების მოსმენა შრომითი კოლექტივების კრებებზე, სოფლის ყრილობებზე. მეტად საჭიროა, რომ აღმასკომები და მუდმივი კომისიები სისტემატურად თვალს ადევნებდნენ ამ საქმეს, დროდადრო მსჯელობდნენ და საჭირო ღონისძიებებს ახორციელებდნენ მდგომარეობის სასიკეთოდ. ბევრი რამ არის დამოკიდებული თვით ხალხის რჩეულებზე. მაგრამ ყველა მათგანი მოლიანად როდი იყენებს შესაძლებლობებს, რომელსაც ითვალისწინებს კანონი დეპუტატთა სტატუსის შესახებ. მაგალითად, სოციალურ-საყოფაცხოვრებო საკითხების მოგვარებაში სუსტ გავლენას ახდენენ ახმეტის რაიონის ადგილობრივი საბჭოები. აქ პარტიული ორგანიზაციები სათანადო ხელმძღვანელობასა და კონტროლს ვერ უწევენ საბჭოების საქმიანობას, რის გამოც უარყოფითი შედეგიც ნათლად იგრძნობა რაიონის ცხოვრების სხვადასხვა უბანზე.

ჩვენი ადგილობრივი საბჭოების მუშაობის სრულყოფისათვის უნარიანად უნდა გამოვიყენოთ წლევანდელი არჩევნებისათვის მზადება. დეპუტატებმა ამომრჩეველთა კრებებს უნდა ჩაბარონ ანგარიშები და ამ კრებების მუშაობის გაანალიზების შედეგად მიღებული ფაქტობრივი მასალა საფუძვლად უნდა დაედოს მომავალ მუშაობას. პარტიულმა ორგანიზაციებმა გონივრულად უნდა გამოიყენონ ეს პოლიტიკური კამპანია და ყველაფერი იღონონ იმისათვის, რომ აღზარდონ დეპუტატები, საბჭოების, სახელმწიფო აპარატის მუშაკები მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით, იმის სულისკვეთებით, რომ შუდამ სრულდებოდეს ამომრჩეველთა განაწესები, საბჭოების წინაშე პარტიის მიერ დასახული ამოცანები.

24 აპრილს კრემლში გაიმართა მ. ს. გორბაჩოვისა და არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალური მდივნის, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტის ჰ. ასადის მოლაპარაკება.

მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი ს. ლ. სოკოლოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. თ. დობრინინი, სხვა ოფიციალური პირნი, სირიის მხრივ — ჰ. ასადის თანმხლები პირნი.

გაიმართა საფუძვლიანი აზრთა გაზიარება ფართო წრის საერთაშორისო და ახლო აღმოსავლეთის პრობლემებზე, განიხილეს საბჭოთა კავშირ-სირიის თანამშრომლობის საკითხები.

მ. ს. გორბაჩოვმა სტუმარს გაუზიარა აზრი საბჭოთა საზოგადოებაში მიმდინარე რეფორმაციულ გარდაქმნასთან დაკავშირებით.

სირიის პრეზიდენტმა ცხოველი ინტერესი გამოიჩინა სსრ კავშირში მიმდინარე გარდაქმნის პროცესებისადმი, მათ შორის საერთაშორისო სიტუაციისა და ხელმძღვანელობის ურთიერთობაზე. მათი ზემოქმედების თვალსაზრისით. თავის მხრივ მან ვაუშეა თავისი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, მისი საშინაო და საგარეო პრობლემები.

ჩამოაყალიბა რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეოპოლიტიკური საქმიანობის კონცეპტუალური შინაარსი, მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ ბირთვული საუკუნის რეალიები დღეს ყველას აყენებს იმის საჭიროების წინაშე, რომ ისწავლონ ერთმანეთთან თანაარსებობა, სიმპათიისა თუ ანტიპათიის, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური სისტემებისა თუ იდეოლოგიურ შეხედულებათა განსხვავების მიუხედავად.

დასავლეთის მრავალი სახელმწიფო მოღვაწე ჯერ კიდევ წარსულით ცხოვრობს. ისინი სამყაროს უყურებენ იმპერიული პოლიტიკის პრიზმით, არ სურთ დაინახონ ბირთვული საშიშროება, უგულებელყოფენ სხვა უმწვავეს მსოფლიო პრობლემებს, მათ შორის განვითარებადი ქვეყნების საზრუნავს.

საერთაშორისო ვითარება, თქვა შემდეგ მ. ს. გორბაჩოვმა, რთულია, და იგი არ მარტივდება. მაგრამ სასიხარულო მომენტია ის, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობა. ხალხთა ფართო მასები, რეალისტურად მოაზროვნე სახელმწიფო მოღვაწენი სულ უფრო ფართოდ ეწინააღმდეგებიან უწევენ მილიტარისტულ და ნეოგლობალისტურ ტენდენციებს, ზემოქმედებას ახდენენ მშვიდობისა და განიარაღების სასარგებლოდ. ხალხები დაღალა დამაბულობამ, ბირთვული კატასტროფის წინაშე შიშმა.

მშვიდობის პოტენციალს დღეს მძლავრ მხარდაჭერას უწევს მიუმხრობლობის მოძრაობა.

პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიუმხრობელი ქვეყნები სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ განიარაღებისა და უშიშროების პრობლემებს. ეს მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის მკაფიო და აქტიური პოზიციის, ბირთვული საშიშროების სიმწვავის გამო მისი ინიციატივის მნიშვნელობის გაგებასთან.

ჰ. ასადმა აღნიშნა, რომ სსრ კავშირის პოზიცია ომისა და მშვიდობის საკითხებში შეესაბამება ყველა ხალხის ძირეულ ინტერესებს.

* * *

ნაშუადღეს მ. ს. გორბაჩოვსა და ჰ. ასადს ჰქონდათ საუბარი პირისპირ. თანამედროვე მსოფლიო სიტუაციის კონტექსტით ღრმად და ყოველმხრივ განიხილეს ახლო და შუა აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესები. აღრეგიონის სახელმწიფოთა კავშირურთიერთობის მიზეზები და ხასიათი და სსრ კავშირთან მათი ურთიერთობა, პერსპექტივები და საკონფლიქტო სიტუაციების შესაძლო გადაწყვეტის გზები.

განიხილეს საბჭოთა კავშირისა და სირიის ურთიერთობა სახელმწიფოებთან, რომლებიც რეგიონის ფარგლებს გარეთ მდებარეობენ, მაგრამ აქვთ იქ თავიანთი ინტერესები და ჩართულნიც კი არიან ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტში, პრაქტიკულად ერთნაირი შეფასება მიეცა ამ სახელმწიფოების პოლიტიკას.

თანამოსაუბრეებმა ერთმანეთს მიაწოდეს ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა იღონეს და რას აკეთებენ მათი ქვეყნები ახლო აღმოსავლეთის საკითხებზე საერთაშორისო კონფერენციის იდეის წინ წაწევისათვის, მტკიცედ დაუჭირეს მხარი ვითარების მოწესრიგების პოლიტიკურ გზას, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს კრიზისის ნამდვილად სამართლიანი და ყოვლისმომცველი დაძლევა.

მ. ს. გორბაჩოვმა და ჰ. ასადმა მოიწონეს ღონისძიებანი, რომლებსაც ახლა პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილენი მიმართავენ, რათა შეაკავშირონ თავიანთი რიგები და შეიმუშაონ ერთიანი პლატფორმა პრინციპულ საფუძველზე, ახლო აღმოსავლეთის ვითარების მოწესრიგების საერთო პროცესისა და საერთაშორისო კონფერენციის მომზადების კონტექსტით.

ირან-ერაყის ომთან დაკავშირებით მ. ს. გორბაჩოვმა ჩამოაყალიბა საბჭოთა კავშირის უცვლელი პოზიცია: ორი ქვეყნის ხალხთა ძირეული ინტერესების, ახლო აღმოსავლეთის ვითარების მოწესრიგების, მთელი მსოფლიო გაერთიანების ინტერესების თვალსაზრისით გაუმართლებელია ამ სისხლისღვრის განგრძობა.

მხარეები შეეხნენ ავღანეთის გამო შექმნილი ვითარების მოწესრიგების საკითხებს, დაახასიათეს იმათი პოზიცია, ვინც ცდილობს ჩაშალოს ეროვნული შერიგების უკვე დაწყებული პროცესი.

საუბარი გამოორჩეოდა პრობლემების დაყენების სიღრმით, გულახდილობით, ნდობისა და ერთმანეთისადმი კეთილი განწყობილების ატმოსფეროთი.

* * *

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მთავრობის სახელით კრემლის სახელმწიფოთა კავშირურთიერთობის მიზეზები და ხასიათი და სსრ კავშირთან მათი ურთიერთობა, პერსპექტივები და საკონფლიქტო სიტუაციების შესაძლო გადაწყვეტის გზები.

განიხილეს საბჭოთა კავშირისა და სირიის ურთიერთობა სახელმწიფოებთან, რომლებიც რეგიონის ფარგლებს გარეთ მდებარეობენ, მაგრამ აქვთ იქ თავიანთი ინტერესები და ჩართულიც კი არიან ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტში, პრაქტიკულად ერთნაირი შეფასება მიეცა ამ სახელმწიფოების პოლიტიკას.

თანამოსაუბრეებმა ერთმანეთს მიაწოდეს ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა იღონეს და რას აკეთებენ მათი ქვეყნები ახლო აღმოსავლეთის საკითხებზე საერთაშორისო კონფერენციის იდეის წინ წაწევისათვის, მტკიცედ დაუჭირეს მხარი ვითარების მოწესრიგების პოლიტიკურ გზას, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს კრიზისის ნამდვილად სამართლიანი და ყოვლისმომცველი დაძლევა.

მ. ს. გორბაჩოვმა და ჰ. ასადმა მოიწონეს ღონისძიებანი, რომლებსაც ახლა პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილენი მიმართავენ, რათა შეაკავშირონ თავიანთი რიგები და შეიმუშაონ ერთიანი პლატფორმა პრინციპულ საფუძველზე, ახლო აღმოსავლეთის ვითარების მოწესრიგების საერთო პროცესისა და საერთაშორისო კონფერენციის მომზადების კონტექსტით.

ირან-ერაყის ომთან დაკავშირებით მ. ს. გორბაჩოვმა ჩამოაყალიბა საბჭოთა კავშირის უცვლელი პოზიცია: ორი ქვეყნის ხალხთა ძირეული ინტერესების, ახლო აღმოსავლეთის ვითარების მოწესრიგების, მთელი მსოფლიო გაერთიანების ინტერესების თვალსაზრისით გაუმართლებელია ამ სისხლისღვრის განგრძობა.

მხარეები შეეხნენ ავღანეთის გამო შექმნილი ვითარების მოწესრიგების საკითხებს, დაახასიათეს იმათი პოზიცია, ვინც ცდილობს ჩაშალოს ეროვნული შერიგების უკვე დაწყებული პროცესი.

საუბარი გამოორჩეოდა პრობლემების დაყენების სიღრმით, გულახდილობით, ნდობისა და ერთმანეთისადმი კეთილი განწყობილების ატმოსფეროთი.

* * *

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მთავრობის სახელით კრემლის დიდ სასახლეში სადილი გაუმართეს ჰ. ასადს.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილად იყვნენ ამხანაგები მ. ს. გორბაჩოვი, ა. ა. გრომიკო, ნ. ი. რიჟკოვი, ე. ა. შევარდნაძე, ს. ლ. სოკოლოვი, ნ. ვ. ტალონინი, ა. თ. დობრინინი, სხვა ოფიციალური პირნი.

სადილზე, რომელიც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, ამხანაგებმა მ. ს. გორბაჩოვმა და ჰ. ასადმა წარმოთქვეს სიტყვები, რომლებიც დიდი უყურადღებით მოისმინეს და ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

* * *

25 აპრილს კრემლის დიდი სასახლის გიორგის დარბაზში გაიმართა არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალური მდივნის, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტის ჰაფეზ ასადის გაცილების საზეიმო ცერემონია.

სირიის ხელმძღვანელს გულთბილად გამოეშშვიდობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი.

კრემლიდან ავტომობილების კორტეჟი მოტოციკლისტთა სალტიო ესკორტის თანხლებით აეროპორტისაკენ გაემართა. მის გზაზე ქუჩებში და მოედნებზე გამოკიდებული იყო სირიის არაბთა რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო დროშები, მისასალმებელი ტრანსპარანტები.

* * *

აეროდრომზე ჰ. ასადი გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ა. გრომიკომ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საქმეთა მინისტრმა ე. ა. შევარდნაძემ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა ს. ლ. სოკოლოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. თ. დობრინინმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

ჰ. ასადი სსრ კავშირში იმყოფებოდა ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწვევით.

* * *

გამგზავრების წინ ჰ. ასადი ესაუბრა ა. ა. გრომიკოს.

(საკდესი).

სირიის ხელმძღვანელის ვიზიტი

სურათზე: საბჭოთა კავშირ-სირიის არაბთა რესპუბლიკის მოლაპარაკება.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ჟ. მარშე მოსკოვს ჩამოვიდა

24 აპრილს მოსკოვს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

24 აპრილს გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელზეც განიხილეს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987 წლის I კვარტალის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შედეგები და მიმდინარე წლის გეგმისა და ბიუჯეტის შესრულების უზრუნველყოფის ამოცანები.

იხელმძღვანელა რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიმდინარე წლის 16 აპრილის სხდომაზე გამოთქმული შეფასებებითა და დასკვნებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ყოველმხრივ გააანალიზა საქმის ვითარება ეკონომიკაში. აღინიშნა, რომ სახალხო მეურნეობა I კვარტალის განმავლობაში უთანაბრად ვითარდებოდა. იანვარში დაშვებული იყო მკვეთრი დაქვეითება. მთელი რიგი სამინისტროები, უწყებები, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, მრავალი გაერთიანება, საწარმო და ორგანიზაცია მზად არ აღმოჩნდა ემუშავათ სამეურნეო საქმიანობისადმი გაზრდილი მომთხოვნელობის პირობებში. ამინდის რთულ პირობებში განსაკუთრებით შესაჩნევად გამოვლინდა შეცდომები ორგანიზაციულ და სამეურნეო მუშაობაში, თვითდამშეიდ ე ბ ი ს ელემენტები, სახელმწიფო და საგეგმო დისციპლინის უხეში დარღვევის ფაქტები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მოთხოვნების შესაბამისად ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების, სამინისტროებისა და უწყებების მუშაობის გაუმჯობესების, ეკონომიკის ჩამორჩენილი რგოლების დაწინაურებისათვის ქმედით ღონისძიებათა განხორციელების შედეგად სახალხო მეურნეობაში შექმნილი მდგომარეობა არსებითად გამოსწორდა. მარტში მნიშვნელოვანწილად დაძლეულია წლის დამდეგს დაშვებული ზრდის ტემპის შენელება, დაიწყო დაკლებული პროდუქციის შვესება, მრეწველობამ მიაღწია წლიური დაგეგმვის დონის შესაბამის საშუალო სადღეღამისო ტემპს, ამასთან 6 პროცენტით გაადიდა წარმოების მოცულობა. გადაჭარბებით შეასრულეს კვარტალური გეგმა სათბობ-ენერგეტიკულმა და აგროსამრეწველო კომპლექსებმა. სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა 1986 წლის I კვარტალთან შედარებით გაიზარდა 8,7 პროცენტით. გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და შესყიდვა. უზრუნველყოფილია ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება. გაიზარდა მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება, სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა ხარჯზე საექსპლოატაციოდ გადაეცა 12,3 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, რაც 21 პროცენტით მეტია, ვიდრე 1986 წლის I კვარტალში იყო.

მაგრამ ჩამორჩენის მოღიანად ლიკვიდაცია ვერ მოხერხდა. I კვარტალის საგეგმო დავალებანი ბევრი მაჩვენებლის მიხედვით არ შესრულებულა. სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობა გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით გაიზარდა მხოლოდ 2,5 პროცენტით, რაც გეგმაზე ნაკლებია, პროდუქციის მიწოდების ვალდებულებანი ხელშეკრულებების შესაბამისად შესრულებულია მხოლოდ 97,8 პროცენტით, რაც ნაკლებია შარშანდელთან შედარებით. ყველაზე ცუდად არის სანომენკლატურო მიწოდების საქმე შავ მეტალურგიაში, ქიმიურ, ელექტროტექნიკურ, საავტომობილო მრეწველობაში.

კვლავ დიდი ნაკლოვანებებია მანქანათაშენებელი, ქიმიურ-სატყეო კომპლექსების, მსუბუქი მრეწველობის მუშაობაში. მარტის გეგმას თავი ვერ გაართვეს სსრ კავშირის ჩარხსაშენებელი მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობის სამინისტრომ, სსრ კავშირის სამხრეთ რაიონებში მშენებლობის სამინისტრომ.

ყოველად შეუწყნარებელია, რომ მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესებულა პროდუქციის ხარისხი, მეტეიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვა. მრავალ სამინისტროსა და უწყებას არ განუხორციელებია საჭირო ღონისძიებანი მოგების გეგმების შესრულებისათვის.

სერიოზულად გართულდა სახალხო მეურნეობის დარგების მუშაობა ტვირთნიდვისა და ტვირთგადა-გადმოტვირთვის. სამუშაოთა ორგანიზაციაში ნაკლოვანებების გამო. რკინიგზის ტრანსპორტმა 1987 წლის I კვარტალში 45,5 მილიონი ტონით, ანუ 5 პროცენტით ვერ შეასრულა ტვირთის გაგზავნის გეგმა.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს სოციალური სფეროს მთელ რიგ უბნებზე შექმნილი არასასიკეთო მდგომარეობა. არ შესრულებულა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის წარმოების, საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის დავალებანი. ჩაიფუშა სკოლამდელი და ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების, კლუბების, კულტურის სახლებისა და სხვა ობიექტების ამოქმედების გეგმა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, შეაფასა რა სახალხო მეურნეობის განვითარების I კვარტალის შედეგები, არადამაკმაყოფილებლად ცნო ისინი. ხაზგასმით აღინიშნა, რომ მიღწეული შედეგები ვერ აკმაყოფილებს პარტიის გადდებულ მოთხოვნებს ეკონომიკაში ძირეული გარდაქმნის შესახებ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის სახმომარაგების, სსრ კავშირის მინისტრების ო. გ. ანფიმოვის, ი. ა. ბესპალოვის, ს. ვ. კოლპაკოვის, ნ. ა. პუგინის ყურადღება მიაპყრო სერიოზულ ნაკლოვანებებს მომდინარე წელს სახალხო მეურნეობის დარგების სტაბილური მუშაობის უზრუნველყოფაში. სსრ კავშირის მინისტრებს ლ. ბ. ვასილიევს, ვ. გ. კლიუევს, ნ. ა. პანჩიევს, ა. ნ. შჩეპეტინოკოვს მიეთითათ, რომ პირადი პასუხისმგებლობა ეკისრებათ I კვარტალის საგეგმო დავალებათა შესრულებასთან დაკავშირებით შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად მუშაობის ორგანიზაციაში არსებული ხარვეზებისათვის.

სსრ კავშირის მთავრობამ დაავალა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მუდმივ ორგანოებს, სსრ კავშირის სამინისტროებს, უწყებებსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს გულდასმით გააანალიზონ 1987 წლის I კვარტალში დარგების, გაერთიანებების, საწარმოების, მშენებლობებისა და ორგანიზაციების მუშაობა, განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ნაკლოვანებათა აღმოფხვრა ორგანიზატორულ და სამეურნეო საქმიანობაში, განსაზღვრონ მთელი ნომენკლატურის, სამუშაოთა და მომსახურებათა სახეობების მიხედვით თითოეული სამინისტროს, უწყებისა და საწარმოს ხაზით საგეგმო დონის მიღწევის ვადები, შექმნან შრომითი კოლექტივების სტაბილური და ეფექტიანი საქმიანობის პირობები.

სხდომაზე წამოაყენეს წინადადება ძირითადი მეცადინეობა მოხმარდეს იმას, რომ გაერთიანებებმა და საწარმოებმა უთუოდ შეასრულონ სახელშეკრულებო მიწოდების ვალდებულებანი, უფრო სრულად გამოიყენონ საწარმოო პოტენციალი, შრომითი კოლექტივები გადაიყვანონ მუშაობის ორ- და სამეკვლიან რეჟიმზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმას, რომ უნდა დაჩქარდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, გაუმჯობესდეს პროდუქციის ხარისხი, გაძლიერდეს რესურსდაზოგვის რეჟიმი.

აღინიშნა, რომ ამ ამოცანების გადაწყვეტაში უფრო სრულად უნდა გამოიყენონ ახალი ეკონომიკური მეთოდებით, სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასვლით დასახული შესაძლებლობანი. ხაზგასმით აღინიშნა, თუ რაოდენ საჭიროა, რომ ყველა საწარმომ, გაერთიანებამ და ორგანიზაციამ გააუმჯობესოს ფინანსური მდგომარეობა, შეასრულოს სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე ნაკისრი ვალდებულებანი.

სსრ კავშირის სახაგრომრეწველო და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს დაევალათ განახორციელონ ღონისძიებანი, რათა უმოკლეს ვადებში დაამთავრონ მზადება საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოთა შესრულებისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოსთხოვა სამინისტროებს, უწყებებსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ყოველდღიური ყურადღება დაუთმონ სოციალური პრობლემების გადაჭრას, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებას, ვაჭრობის სრულყოფას, საქონელსა და მომსახურებაზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, საცხოვრებელი სახლების, სოციალურ-კულტურული სფეროს ობიექტების საექსპლოატაციოდ დროულ გადაცემას.

ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ფაქტორის ყოველმხრივ გაანტიურებას, შრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის ფართოდ განვითარებას, წარმოების კულტურის ამაღლებას, მომთხოვნელობისა და დაკისრებული საქმისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერებას. უნდა მივაღწიოთ, რომ უთუოდ შესრულდეს 1987 წლის საგეგმო დავალებანი და შრომითი კოლექტივების მიერ ნაკისრი ვალდებულებანი, რათა ღირსეულად შეეგებოთ დიდი ოქტომბრის 70 წლისთავს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ჰ. ა. ალიევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები ნ. ნ. სლიუნკოვი და ნ. ვ. ტალიზინი.

სხდომაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი. (საკძესი).

ჩვენი მთავარი საზრუნავი

ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის რევოლუციური პროცესი განსაკუთრებით მჭიდროდ უკავშირდება ახალგაზრდობის პროფესიული და იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საქმეს. ჩვენს მაგალითზე შემიძლია განვაცხადო, რომ მან ძირფესვიანად შეცვალა და გამოაცოცხლა მუშაობა პროფტექნიკურ სასწავლებლებში.

ჩვენთან, ჩვენს სასწავლებელში, პირველ ყოვლისა მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას მივხედეთ. გადახალისდა და უკეთესად მოეწყო სასწავლო კაბინეტები, ისინი აღიჭურვა თანამედროვე სასწავლო-ტექნიკური საშუალებებით. სახე იცვალა ლაბორატორიულ-პრაქტიკული სამუშაოებისათვის განკუთვნილმა სახელოსნოებმა. დაინერგა პროგრამული სწავლება. აგრძნობლად გაუმჯობესდა კონტინგენტის თვისებრივი შემადგენლობა. ახალი ავეჯი დაიდგა 200-ადგილიან საერთო საცხოვრებელსა და კვების ბლოკში. ძირითადად შეიცვალა დახურული და ღია სპორტული კომპლექსი და ა. შ.

დღესდღეობით ჩვენს უპირველეს საზრუნავად კვლავ რჩება მასალები კონტინგენტის გეგმის შესრულება და, შესაბამისად, საპროფორიენტაციო მუშაობა. ამ მხრივ ძალზე გეგეზარება რაიონის განათლების განყოფილებასთან ერთად შედგენილი გეგმა-გრაფიკი, რომლის განხორციელებასაც სასწავლებლის პედკოლექტივი სექტემბრიდანვე იწყებს ხოლმე. რაიონის და ქალაქის ყველა რვაწლიან და საშუალო სკოლაში იმართება მოსწავლეთა და მშობელთა საერთო კრებები, მოწყობილია საპროფორიენტაციო კუთხეები. ღია კარის დღეზე ვიწვევთ ხოლმე მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს. გარდა ამისა, მთელი სასწავლო წლის განმავლობაში გვაქვს ერთობლივი ღონისძიებები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეებთან, ისინი ხშირად მოდიან ჩვენთან. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ, ჩემი აზრით, ასე დაძაბულმა საპროფორიენტაციო მუშაობამ, სასწავლებლიდან თითქმის მთელი პედკოლექტივის ზურმა გასვლამ შეუძლებელია დაღი არ დაასვას ჩვენი სასწავლებლის სასწავლო-საწარმოო პროცესს.

ისევ და ისევ ვუბრუნდებით საკითხს: რატომ ძნელდება ასე კონტინგენტის შერჩევა და სასწავლებელში მოსწავლეთა მიღება-დაჩვეულდება?

ახლა დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: ამის მთავარი მიზეზია ის, რომ დღემდე არ გიცია, ვისთვის ვამზადებთ დაგეგმილ კონტინგენტს. ეს მეტად სერიოზული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე მარტო პროფესიულ-სასწავლებლებისა და სკოლებისათვის არის არსებითად მინდობილი, მაშინ როცა ყველაზე უფრო დაინტერესებულნი საწარმოდაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები უნდა იყვნენ, ისინი, ვისაც ამ პროფესიის კადრი სჭირდება. გეგმა გასაგებია, მაგრამ გეგმას რეალური პირობები უნდა ედოს საფუძვლად.

კონტინგენტის შერჩევის დღემდე არსებული წესი არის სწორედ იმის მიზეზი, რომ სასწავლებელში მოდის მოსწავლეთა დიდი ნაწილი, რომელსაც საკმარისი ცოდნა და პროფესიების დაუფლებისა და ოსტატობის ელементები, ეკონომიკის ჩამორჩენილი რგოლების დაწინაურებისათვის ქმედით ღონისძიებათა განხორციელების შედეგად სახალხო მეურნეობაში შექმნილი მდგომარეობა არსებითად გამოსწორდა. მარტში მნიშვნელოვანწილად დაძლეულია წლის დამდეგს დაშვებული ზრდის ტემპის შენელება, დაიწყო დაკლებული პროდუქციის შვესება, მრეწველობამ მიაღწია წლიური დაგეგმვის დონის შესაბამის საშუალო სადღეღამისო ტემპს, ამასთან 6 პროცენტით გაადიდა წარმოების მოცულობა. გადაჭარბებით შეასრულეს კვარტალური გეგმა სათბობ-ენერგეტიკულმა და აგროსამრეწველო კომპლექსებმა. სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა 1986 წლის I კვარტალთან შედარებით გაიზარდა 8,7 პროცენტით. გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და შესყიდვა. უზრუნველყოფილია ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება. გაიზარდა მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება, სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა ხარჯზე საექსპლოატაციოდ გადაეცა 12,3 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, რაც 21 პროცენტით მეტია, ვიდრე 1986 წლის I კვარტალში იყო.

მაგრამ ჩამორჩენის მთლიანად ლიკვიდაცია ვერ მოხერხდა. I კვარტალის საგეგმო დავალებანი ბევრი მაჩვენებლის მიხედვით არ შესრულებულა. სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობა გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით გაიზარდა მხოლოდ 2,5 პროცენტით, რაც გეგმაზე ნაკლებია, პროდუქციის მიწოდების ვალდებულებანი ხელშეკრულებების შესაბამისად შესრულებულია მხოლოდ 97,8 პროცენტით, რაც ნაკლებია შარშანდელთან შედარებით. ყველაზე ცუდად არის სანომენკლატურო მიწოდების საქმე შავ მეტალურგიაში, ქიმიურ, ელექტროტექნიკურ, საავტომობილო მრეწველობაში.

კვლავ დიდი ნაკლოვანებებია მანქანათაშენებელი, ქიმიურ-სატყეო კომპლექსების, მსუბუქი მრეწველობის მუშაობაში. მარტის გეგმას თავი ვერ გაართვეს სსრ კავშირის ჩარხსაშენებელი მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობის სამინისტრომ, სსრ კავშირის სამხრეთ რაიონებში მშენებლობის სამინისტრომ.

ყოველად შეუწყნარებელია, რომ მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესებულა პროდუქციის ხარისხი, მეტეიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვა. მრავალ სამინისტროსა და უწყებას არ განუხორციელებია საჭირო ღონისძიებანი მოგების გეგმების შესრულებისათვის.

სერიოზულად გართულდა სახალხო მეურნეობის დარგების მუშაობა ტვირთნიდვისა და ტვირთგადა-გადმოტვირთვის. სამუშაოთა ორგანიზაციაში ნაკლოვანებების გამო. რკინიგზის ტრანსპორტმა 1987 წლის I კვარტალში 45,5 მილიონი ტონით, ანუ 5 პროცენტით ვერ შეასრულა ტვირთის გაგზავნის გეგმა.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს სოციალური სფეროს მთელ რიგ უბნებზე შექმნილი არასასიკეთო მდგომარეობა. არ შესრულებულა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის წარმოების, საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის დავალებანი. ჩაიფუშა სკოლამდელი და ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების, კლუბების, კულტურის სახლებისა და სხვა ობიექტების ამოქმედების გეგმა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, შეაფასა რა სახალხო მეურნეობის განვითარების I კვარტალის შედეგები, არადამაკმაყოფილებლად ცნო ისინი. ხაზგასმით აღინიშნა, რომ მიღწეული შედეგები ვერ აკმაყოფილებს პარტიის გადდებულ მოთხოვნებს ეკონომიკაში ძირეული გარდაქმნის შესახებ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის სახმომარაგების, სსრ კავშირის მინისტრების ო. გ. ანფიმოვის, ი. ა. ბესპალოვის, ს. ვ. კოლპაკოვის, ნ. ა. პუგინის ყურადღება მიაპყრო სერიოზულ ნაკლოვანებებს მომდინარე წელს სახალხო მეურნეობის დარგების სტაბილური მუშაობის უზრუნველყოფაში. სსრ კავშირის მინისტრებს ლ. ბ. ვასილიევს, ვ. გ. კლიუევს, ნ. ა. პანჩიევს, ა. ნ. შჩეპეტინოკოვს მიეთითათ, რომ პირადი პასუხისმგებლობა ეკისრებათ I კვარტალის საგეგმო დავალებათა შესრულებასთან დაკავშირებით შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად მუშაობის ორგანიზაციაში არსებული ხარვეზებისათვის.

სსრ კავშირის მთავრობამ დაავალა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მუდმივ ორგანოებს, სსრ კავშირის სამინისტროებს, უწყებებსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს გულდასმით გააანალიზონ 1987 წლის I კვარტალში დარგების, გაერთიანებების, საწარმოების, მშენებლობებისა და ორგანიზაციების მუშაობა, განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ნაკლოვანებათა აღმოფხვრა ორგანიზატორულ და სამეურნეო საქმიანობაში, განსაზღვრონ მთელი ნომენკლატურის, სამუშაოთა და მომსახურებათა სახეობების მიხედვით თითოეული სამინისტროს, უწყებისა და საწარმოს ხაზით საგეგმო დონის მიღწევის ვადები, შექმნან შრომითი კოლექტივების სტაბილური და ეფექტიანი საქმიანობის პირობები.

სხდომაზე წამოაყენეს წინადადება ძირითადი მეცადინეობა მოხმარდეს იმას, რომ გაერთიანებებმა და საწარმოებმა უთუოდ შეასრულონ სახელშეკრულებო მიწოდების ვალდებულებანი, უფრო სრულად გამოიყენონ საწარმოო პოტენციალი, შრომითი კოლექტივები გადაიყვანონ მუშაობის ორ- და სამეკვლიან რეჟიმზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმას, რომ უნდა დაჩქარდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, გაუმჯობესდეს პროდუქციის ხარისხი, გაძლიერდეს რესურსდაზოგვის რეჟიმი.

აღინიშნა, რომ ამ ამოცანების გადაწყვეტაში უფრო სრულად უნდა გამოიყენონ ახალი ეკონომიკური მეთოდებით, სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასვლით დასახული შესაძლებლობანი. ხაზგასმით აღინიშნა, თუ რაოდენ საჭიროა, რომ ყველა საწარმომ, გაერთიანებამ და ორგანიზაციამ გააუმჯობესოს ფინანსური მდგომარეობა, შეასრულოს სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე ნაკისრი ვალდებულებანი.

სსრ კავშირის სახაგრომრეწველო და მოკავშირე რესპუბლიკების

ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ.

ᲒᲐᲡᲐᲙᲔᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲑᲔᲕᲠᲘᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ გაკვეთილი, რომელსაც თბილისის 176-ე საშუალო სკოლის დაწყებითს კლასებში ატარებს ვიოლა წოწოლაშვილი, მიმდინარეობს საინტერესოდ, დიდხანს არ ავიწყდებათ მოსწავლეებს. იყენებს რა თვალსაჩინოების სახელმძღვანელოებს, დიაფილმებს, პატარა ლექსებს, იგი ბავშვებს ასწავლის რუსულად მეტყველებას და წერას, აღწევს იმას, რომ მოსწავლეებმა ღრმად აითვისონ საპროგრამო მასალა, გაიფართოონ სიტყვიერი მარაგი.

მიმდინარე სასწავლო წელს ქართული დაწყებითი სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს მესამე კლასისათვის გათვალისწინებული რუსული ენის ახალი სახელმძღვანელო „ცოცხალი სიტყვა". გაითვალისწინა რა ენის სწავლების მრავალფეროვანი ხერხები და საშუალებები, სახელმძღვანელოში შეკრებილია მდიდარი და საინტერესო მასალა ზეპირი მეტყველების განვითარებისათვის, რაც მასწავლებელს ეხმარება ბავშვებს გამოთქმევინოს აზრი რუსულ ენაზე.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲣ: გაკვეთილზეა რუსული ენის მასწავლებელი, სკოლის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი ვიოლა წოწოლაშვილი.

Ზ. ᲓᲐᲗᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ (საკინფორმის ფოტოქრონიკა).

რესკუბლიკის მასწავლებელთა ყრილობის წინ

ᲩᲕᲔᲜ ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის რევოლუციური პროცესი განსაკუთრებით მჭიდროდ უკავშირდება ახალგაზრდობის პროფესიული და იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საქმეს. ჩვენს მაგალითზე შემიძლია განვაცხადო, რომ მან ძირფესვიანად შეცვალა და გამოაცოცხლა მუშაობა პროფტექნიკურ სასწავლებლებში.

ჩვენთან, ჩვენს სასწავლებელში, პირველ ყოვლისა მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას მივხედეთ. გადახალისდა და უკეთესად მოეწყო სასწავლო კაბინეტები, ისინი აღიჭურვა თანამედროვე სასწავლო-ტექნიკური საშუალებებით. სახე იცვალა ლაბორატორიულ-პრაქტიკული სამუშაოებისათვის განკუთვნილმა სახელოსნოებმა. დაინერგა პროგრამული სწავლება. აგრძნობლად გაუმჯობესდა კონტინგენტის თვისებრივი შემადგენლობა. ახალი ავეჯი დაიდგა 200-ადგილიან საერთო საცხოვრებელსა და კვების ბლოკში. ძირითადად შეიცვალა დახურული და ღია სპორტული კომპლექსი და ა. შ.

დღესდღეობით ჩვენს უპირველეს საზრუნავად კვლავ რჩება მასალები კონტინგენტის გეგმის შესრულება და, შესაბამისად, საპროფორიენტაციო მუშაობა. ამ მხრივ ძალზე გეგეზარება რაიონის განათლების განყოფილებასთან ერთად შედგენილი გეგმა-გრაფიკი, რომლის განხორციელებასაც სასწავლებლის პედკოლექტივი სექტემბრიდანვე იწყებს ხოლმე. რაიონის და ქალაქის ყველა რვაწლიან და საშუალო სკოლაში იმართება მოსწავლეთა და მშობელთა საერთო კრებები, მოწყობილია საპროფორიენტაციო კუთხეები. ღია კარის დღეზე ვიწვევთ ხოლმე მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს. გარდა ამისა, მთელი სასწავლო წლის განმავლობაში გვაქვს ერთობლივი ღონისძიებები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეებთან, ისინი ხშირად მოდიან ჩვენთან. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ, ჩემი აზრით, ასე დაძაბულმა საპროფორიენტაციო მუშაობამ, სასწავლებლიდან თითქმის მთელი პედკოლექტივის ზურმა გასვლამ შეუძლებელია დაღი არ დაასვას ჩვენი სასწავლებლის სასწავლო-საწარმოო პროცესს.

ისევ და ისევ ვუბრუნდებით საკითხს: რატომ ძნელდება ასე კონტინგენტის შერჩევა და სასწავლებელში მოსწავლეთა მიღება-დაჩვეულდება?

ახლა დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: ამის მთავარი მიზეზია ის, რომ დღემდე არ გიცია, ვისთვის ვამზადებთ დაგეგმილ კონტინგენტს. ეს მეტად სერიოზული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე მარტო პროფესიულ-სასწავლებლებისა და სკოლებისათვის არის არსებითად მინდობილი, მაშინ როცა ყველაზე უფრო დაინტერესებულნი საწარმოდაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები უნდა იყვნენ, ისინი, ვისაც ამ პროფესიის კადრი სჭირდება. გეგმა გასაგებია, მაგრამ გეგმას რეალური პირობები უნდა ედოს საფუძვლად.

კონტინგენტის შერჩევის დღემდე არსებული წესი არის სწორედ იმის მიზეზი, რომ სასწავლებელში მოდის მოსწავლეთა დიდი ნაწილი, რომელსაც საკმარისი ცოდნა და პროფესიების დაუფლებისა და ოსტატობის ელементები, ეკონომიკის ჩამორჩენილი რგოლების დაწინაურებისათვის ქმედით ღონისძიებათა განხორციელების შედეგად სახალხო მეურნეობაში შექმნილი მდგომარეობა არსებითად გამოსწორდა. მარტში მნიშვნელოვანწილად დაძლეულია წლის დამდეგს დაშვებული ზრდის ტემპის შენელება, დაიწყო დაკლებული პროდუქციის შვესება, მრეწველობამ მიაღწია წლიური დაგეგმვის დონის შესაბამის საშუალო სადღეღამისო ტემპს, ამასთან 6 პროცენტით გაადიდა წარმოების მოცულობა. გადაჭარბებით შეასრულეს კვარტალური გეგმა სათბობ-ენერგეტიკულმა და აგროსამრეწველო კომპლექსებმა. სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა 1986 წლის I კვარტალთან შედარებით გაიზარდა 8,7 პროცენტით. გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და შესყიდვა. უზრუნველყოფილია ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება. გაიზარდა მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება, სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა ხარჯზე საექსპლოატაციოდ გადაეცა 12,3 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, რაც 21 პროცენტით მეტია, ვიდრე 1986 წლის I კვარტალში იყო.

მაგრამ ჩამორჩენის მთლიანად ლიკვიდაცია ვერ მოხერხდა. I კვარტალის საგეგმო დავალებანი ბევრი მაჩვენებლის მიხედვით არ შესრულებულა. სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობა გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით გაიზარდა მხოლოდ 2,5 პროცენტით, რაც გეგმაზე ნაკლებია, პროდუქციის მიწოდების ვალდებულებანი ხელშეკრულებების შესაბამისად შესრულებულია მხოლოდ 97,8 პროცენტით, რაც ნაკლებია შარშანდელთან შედარებით. ყველაზე ცუდად არის სანომენკლატურო მიწოდების საქმე შავ მეტალურგიაში, ქიმიურ, ელექტროტექნიკურ, საავტომობილო მრეწველობაში.

კვლავ დიდი ნაკლოვანებებია მანქანათაშენებელი, ქიმიურ-სატყეო კომპლექსების, მსუბუქი მრეწველობის მუშაობაში. მარტის გეგმას თავი ვერ გაართვეს სსრ კავშირის ჩარხსაშენებელი მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობის სამინისტრომ, სსრ კავშირის სამხრეთ რაიონებში მშენებლობის სამინისტრომ.

ყოველად შეუწყნარებელია, რომ მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესებულა პროდუქციის ხარისხი, მეტეიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვა. მრავალ სამინისტროსა და უწყებას არ განუხორციელებია საჭირო ღონისძიებანი მოგების გეგმების შესრულებისათვის.

სერიოზულად გართულდა სახალხო მეურნეობის დარგების მუშაობა ტვირთნიდვისა და ტვირთგადა-გადმოტვირთვის. სამუშაოთა ორგანიზაციაში ნაკლოვანებების გამო. რკინიგზის ტრანსპორტმა 1987 წლის I კვარტალში 45,5 მილიონი ტონით, ანუ 5 პროცენტით ვერ შეასრულა ტვირთის გაგზავნის გეგმა.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს სოციალური სფეროს მთელ რიგ უბნებზე შექმნილი არასასიკეთო მდგომარეობა. არ შესრულებულა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის წარმოების, საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის დავალებანი. ჩაიფუშა სკოლამდელი და ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების, კლუბების, კულტურის სახლებისა და სხვა ობიექტების ამოქმედების გეგმა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, შეაფასა რა სახალხო მეურნეობის განვითარების I კვარტალის შედეგები, არადამაკმაყოფილებლად ცნო ისინი. ხაზგასმით აღინიშნა, რომ მიღწეული შედეგები ვერ აკმაყოფილებს პარტიის გადდებულ მოთხოვნებს ეკონომიკაში ძირეული გარდაქმნის შესახებ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის სახმომარაგების, სსრ კავშირის მინისტრების ო. გ. ანფიმოვის, ი. ა. ბესპალოვის, ს. ვ. კოლპაკოვის, ნ. ა. პუგინის ყურადღება მიაპყრო სერიოზულ ნაკლოვანებებს მომდინარე წელს სახალხო მეურნეობის დარგების სტაბილური მუშაობის უზრუნველყოფაში. სსრ კავშირის მინისტრებს ლ. ბ. ვასილიევს, ვ. გ. კლიუევს, ნ. ა. პანჩიევს, ა. ნ. შჩეპეტინოკოვს მიეთითათ, რომ პირადი პასუხისმგებლობა ეკისრებათ I კვარტალის საგეგმო დავალებათა შესრულებასთან დაკავშირებით შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად მუშაობის ორგანიზაციაში არსებული ხარვეზებისათვის.

სსრ კავშირის მთავრობამ დაავალა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მუდმივ ორგანოებს, სსრ კავშირის სამინისტროებს, უწყებებსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს გულდასმით გააანალიზონ 1987 წლის I კვარტალში დარგების, გაერთიანებების, საწარმოების, მშენებლობებისა და ორგანიზაციების მუშაობა, განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ნაკლოვანებათა აღმოფხვრა ორგანიზატორულ და სამეურნეო საქმიანობაში, განსაზღვრონ მთელი ნომენკლატურის, სამუშაოთა და მომსახურებათა სახეობების მიხედვით თითოეული სამინისტროს, უწყებისა და საწარმოს ხაზით საგეგმო დონის მიღწევის ვადები, შექმნან შრომითი კო

ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ ᲛᲘᲕᲪᲔᲗ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐᲡ

ᲨᲔᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲐᲓ ᲐᲕᲘᲝᲛᲐᲠᲔᲑᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠ ᲘᲓᲔᲔᲑᲘ ᲐᲮᲐᲚ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ Ბ. Ვ. ᲙᲠᲐᲕᲪᲝᲕᲘ Უ�პᲐᲡᲣᲮᲔᲑᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲠᲝᲛᲚᲘᲪ 1 ᲛᲐᲘᲡᲘ ᲨᲔᲓᲘᲡ ᲫᲐᲚᲐᲨᲘ.

— რა სიახლეა შეტანილი კანონმდებლობაში ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ უკანასკნელ ხანს მიღებული ნორმატიული აქტებით?

— ახალი კანონი, ითვალისწინებს რა ეკონომიკური სტრატეგიის სფეროში სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახულ ამოცანებს, აწესებს მოქალაქეთა გერგილიანობისა და ინიციატივის განვითარების სამართლებრივ საფუძვლებს, რომელთა მიზანია საქონელსა და მომსახურებაზე საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, საზოგადოებრივად სასარგებლო მუშაობით ადამიანთა დასაქმების გადიდება, მათ მიერ დამატებითი შემოსავლის მიღება.

კანონის შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილებანი იმ მოქალაქეთათვის კრედიტების მიცემის საკითხებზე, რომლებიც ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობას ეწევიან, აგრეთვე პენსიათა გადახდის თაობაზე. სსრ კავშირის შრომის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავეს „ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის ზოგიერთი დებულების გამოყენების რეკომენდაციები“. გარდა ამისა, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ მიიღო შესაბამისი აქტი, რომელიც აწესრიგებს ექიმთა და საშუალო მედიცინის მუშაკთა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის წესს; სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრომ გადაწყვიტა ამ მოქალაქეთათვის სავაჭრო ქსელში საქონლის მიყიდვის საკითხი; სსრ კავშირის სახმომარაგებამ განსაზღვრა საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციით მოქალაქეთა უზრუნველყოფის წესი.

— რა დახმარებას უწევს სახელმწიფო პირებს, რომლებმაც გადაწყვიტეს ხელი მოჰკიდონ ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობას?

— კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებულია, რომ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები ეხმარებიან ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობაში ჩაბმულ მოქალაქეებს ნედლეულის, მასალების, ინსტრუმენტების და სხვა ქონების შეძენაში, წარმოებული პროდუქციის გასაღებაში, შეუძლიათ მათ დადგენილი წესით მიწაცენტ არასაცხოვრებელი სათავსები და სხვა ქონება იჯარით, აგრეთვე მიაწოდონ საჭირო ინფორმაცია. უფინარეს ყოვლისა დახმარება უნდა გაეწიოთ იმათ, ვინც ხელშეკრულებები დადო საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან, აგრეთვე დაქვეითებული შრომის უნარის მქონე ან ისეთ მოქალაქეებს, რომლებიც ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობას ეწევიან შორეულ ან ძნელად მისასვლელ რაიონებში.

სსრ კავშირის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტსა და მის ტერიტორიულ ორგანოებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაეკისრათ მოვალეობა უზრუნველყონ საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით მოქალაქენი, რომლებიც ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობას ეწევიან. სსრ კავშირის სახმომარაგების დადგენილებით დამტკიცებულია ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მოქალაქეთა საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციით „მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და ამ მოქალაქეთა მიერ საწარმოორგანიზაციებისგან წარმოებისა და მოხმარების ზედმეტი და გამოუყენებელი მატერიალური ფასეულობების შეძენის წესი“. ეს დოკუმენტი ითვალისწინებს, რომ მოქალაქეებს, რომლებსაც აქვთ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის გაწევის სარეგისტრაციო მოწმობა ან პატენტი, საწარმოოტექნიკური დანიშნულების პროდუქციით უზრუნველყოფენ სსრ კავშირის სახმომარაგების სისტემის ტერიტორიული ორგანოები მათ მიერ სარეალიზაციო პროდუქციის ნომენკლატურით. პროდუქციის გაყიდვა წარმოებს მოქალაქეთა შეკვეთებით საცალო ფასებით, ხოლო თუ ისინი არ არის — საბითუმო ფასებით კოეფიციენტების გამოყენებით. შეკვეთები განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 15 დღეს მათი მიღების შემდეგ.

ცალკეულ სახეობათა ხელსაწყოები, მოწყობილობა და ტექნიკური საშუალებები დროებითი სარგებლობისათვის მოქალაქეებს შეუძლიათ მიიღონ სსრ კავშირის სახმომარაგების სისტემის გასაქირავებელ პუნქტებში. საწარმოებს, გაერთიანებებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს უფლება აქვთ მიჰყიდონ მოქალაქეებს, რომლებიც ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობას ეწევიან, ნედლეული, მასალები, მოწყობილობა, ნაწარმი და სხვა მატერიალური ფასეულობანი, რომლებიც გამოსაყენებლად გარგისია, მათთვის კი საჭირო არ არის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 23 მარტის დადგენილების შესაბამისად მოქალაქეებს, რომლებიც ამ საქმიანობას ეწევიან, შეიძლება მიეცეთ კრედიტი ნედლეულის მასალების, ინსტრუმენტებისა და სხვა ისეთი ქონების შესაძენად, რომლებსაც იღებენ იჯარით ან გაქირავებით. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების კუთვნილი არასაცხოვრებელი სათავსების იჯარა უნდა განხორციელდეს ტიპობრივი ხელშეკრულებებით, რომლებსაც მოაკავშირე რესპუბლიკების შესაბამისი სამინისტროები ამტკიცებენ. მოქალაქეთათვის მისაცემი არასაცხოვრებელი სათავსების საიჯარო ფასის განაკვეთების საკითხს წყვეტენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები.

— ვის აქვს ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის უფლება?

— იმ მოქალაქეთა კატეგორიები, რომლებსაც ეძლევათ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის უფლება, განსაზღვრულია კანონში. კანონით გათვალისწინებულია, რომ აღნიშნული საქმიანობის უფლება ეძლევათ ძირითადი მუშაობისაგან თავისუფალ დროს საზოგადოებრივი წარმოების მონაწილე სრულწლოვან მოქალაქეებს, დაისახლისებს, ინვალიდებს, პენსიონერებს, სტუდენტებსა და მოსწავლეებს.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ასეთ საქმიანობას შეიძლება მისდინონ აგრეთვე საზოგადოებრივ წარმოებში დაუსაქმებელმა სხვა მოქალაქეებმაც. რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებების გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია ეს საკითხი გადაწყვეტონ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ აგრეთვე, რომ ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობას საფუძვლად უდევს მოქალაქეთა და მათი ოჯახების წევრთა მხოლოდ და მხოლოდ პირადი შრომა.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს სოციალური კანონმდებლობა ინიჭებს — ეხელმძღვანელონ ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობაში ჩაბმულ მოქალაქეთა საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციით „მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და ამ მოქალაქეთა მიერ საწარმოორგანიზაციებისგან წარმოებისა და მოხმარების ზედმეტი და გამოუყენებელი მატერიალური ფასეულობების შეძენის წესი“. ეს დოკუმენტი ითვალისწინებს, რომ მოქალაქეებს, რომლებსაც აქვთ

ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ ᲛᲘᲕᲪᲔᲗ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐᲡ

კომიტეტის 1987 წლის 26 თებერვლის № 120 დადგენილებით.

— არის თუ არა რომელიმე სახეობის ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შეზღუდვები?

— ახლა აღმოფხვრილია იმ სახეობათა საქმიანობის უსაფუძვლო შეზღუდვები, რომლებიც სარგებლობას აძლევს საზოგადოებასა და მოქალაქეებს.

მაგრამ საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, კანონით დადგენილია ზოგიერთ სახეობათა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის აკრძალვა. მაგალითად. აკრძალულია ყოველგვარი სახეობის იარაღის დამზადება და რემონტი, ძვირფასი ლითონების ნაკეთობათა რემონტი და გადაკეთება... გათვალისწინებულია აგრეთვე, რომ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება აიკრძალოს სხვა სახეობის ინდივიდუალური შრომითი საქმიანობაც, თუ ეს ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს.

იმის გამო, რომ ზოგიერთი სახეობის ეს საქმიანობა მოითხოვს გარკვეულ სპეციალურ მომზადებას, რეკომენდაციებში მოყვანილია სანიმუშო საკვალიფიკაციო მოთხოვნები — სპეციალური განათლება, შემოქმედებითი კავშირის წევრობა და სხვ.

— ინდივიდუალური შრომითი საქმიანობისადმი კონტროლის რა სამართლებრივი საშუალებანი არსებობს?

— კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად მოქალაქეთა ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობას კონტროლს უწევენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები. კანონის ზოგიერთი დებულების გამოყენების რეკომენდაციებში განმარტებულია ასეთი კონტროლის განხორციელების წესი.

კერძოდ, აღნიშნულია, რომ კონტროლი მიზანშეწონილია დაევალოთ აღმასკომების შესაბამის ფუნქციონალურ განყოფილებებს (სამმართველოებს) მათი კომპეტენციის ფარგლებში. მონიშნულია მხოლოდ შემოწმებას დაქვემდებარებულ საკითხთა სანიმუშო, მცირე ნუსხა.

შემოწმებებისა და გამოკვლევის შედეგები უნდა განზოგადდეს და პერიოდულად მოხსენდეს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს. ამავე დროს, მუშავდება წინადადებანი სახალხო მოხმარების საქონლის მწარმოებელი მრეწველობისა და მოსახლეობისათვის მომსახურების გაუმჯობესების, აგრეთვე ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მიმდევარ მოქალაქეთა მუშაობაში უსაფუძვლო შეზღუდვების აღმოფხვრის შესახებ, თუ ისინი არსებობს.

იმ პირებს, რომლებიც არღვევენ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის წესს, შეიძლება აიკრძალოთ მისი განკრძობა. გადაწყვეტილებას ამის შესახებ იღებს სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი, რომელმაც ნებართვა გასცა. ამასთან დამრღვევს ჩამოერთმევა სარეგისტრაციო მოწმობა ან პატენტი.

კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის წესის დარღვევა, ან ისეთ სახეობათა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა, რომელთა თაობაზეც არის სპეციალური აკრძალვა, იწვევს ადმინისტრაციულ ან სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

— განხორციელდება თუ არა დომმხმარებელთა ინტერესების დაცვა?

— ბუნებრივია. კანონი ითვალისწინებს ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მიმდევარ მოქალაქეთა არა მარტო უფლებებს, არამედ მოვალეობებსაც.

კერძოდ, ეს მოქალაქენი ვალდებულნი არიან დაიცვან ასეთი საქმიანობის განხორციელების დადგენილი წესი. მყიდველთა, შემკვეთთა და სხვა პირთა უფლებები და კანონიერი ინტერესები, უზრუნველყონ დამზადებული საქონლისა და გაწეული მომსახურების ჯეროვანი ხარისხი, დაიცვან სანიტარიული, ხანძარსაწინააღმდეგო და სხვა წესები და ნორმები.

როგორც ვხედავთ, ყველა ამ მოვალეობას არა აქვს რაიმე შეზღუდვი ან ამკრძალავი ხასიათი. ისინი გამოხატავენ, და საკანონმდებლო საფუძველიანად, საზოგადოებისა და მომხმარებლების უფლებათა გარანტიებსა და კანონით დაცულ ინტერესებს.

მაგრამ თუ მომხმარებლის უფლებები მაინც დაირღვა — გაფუჭდა ნაწარმი, არ შესრულდა შეკვეთა და ასე შემდეგ, მას უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რათა მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲓᲔᲡᲐᲜᲢᲘ ᲛᲐᲒᲐᲓᲐᲜᲨᲘ

ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ უკიდურესი ჩრდილოეთის დაბა დუკატის სამოთამადიდრებელი კომბინატის მეორე რიგის მშენებლობაზე გაემგზავრა რესპუბლიკის ახალგაზრდობის 25 წარგზავნილი სრულიად საკავშირო ალკკ XX ყრილობის სახელობის პირველი საკავშირო დამკვრელური კომკავშირული რაზმის შემადგენლობაში.

დროთა განმავლობაში ამ დაბის ნაცვლად აშენდება კიდევ ერთი ქალაქი მაგადანის მხარის მკაცრ პირობებში. დღეს ახალშენებლობას მწვავედ სჭირდება ქვალფიციური მებათქაშეები, მღებავები, ხეროები, მებეტონეები, კალატოზები, მემონტაჟეები.

ერთ-ერთმა პირველმა მშენებლობას დახმარება გაუწია ჩვენმა რესპუბლიკამ. ახლანდელმა დუსანტმა შეავსო მოხალისეთა რიგები, რომლებიც მოწოდებას ჯერ კიდევ შარშან გამოეხმაურნენ. მათი წარმომადგენელი ნუგზარ პაპუნიძე, რომელიც მეზობელ ომსუკჩანის დაბაში მემონტაჟეთა ბრიგადირად მუშაობს, მიაცილებს, თანამემამულეთა ახალ რაზმს დისოკაციის ადგილას. მან უამბო ამხანაგებს, რა პირობებში მოუწევთ ცხოვრება და მუშაობა, რა ობიექტები უნდა ააგონ. ეს არის, უფინარეს ყოვლისა, საბინაო-სამოქალაქო შენობები, კულტურული ცენტრები, სპორტული ნაგებობანი, საავადმყოფოები, სკოლები, საბავშვო ბაღები.

საქართველოს კომკავშირი აპირებს ღირსეულად წარმოადგინოს რესპუბლიკა ქვეყნის სხვა ახალგაზრდულ მშენებლობებზეც. მაგალითად, მალე ჩამოყალიბდება საკავშირო ალკკ XX ყრილობის სახელობის რაზმი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ქარხანა „როსტსოფცმაშენის“ რეკონსტრუქციაში. (საქინფორმი).

ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲗ:

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში წვლილისათვის და დაბადების სამოცდაათ წლეთან დაკავშირებით გამომცემლობა „ნაკადულის“ დირექტორი მწერალი ვახტანგ ვასილის ძე **ᲭᲘᲚᲐᲫᲔ** დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის **ᲡᲐᲞᲐᲢᲝ ᲡᲘᲒᲔᲚᲘᲗ.**

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ლიტერატურის განვითარებაში წვლილისათვის და დაბადების სამოც წლეთან დაკავშირებით მწერალი სოს არშაკის ძე **ᲡᲘᲛᲐᲕᲝᲠᲘᲐᲜᲘ** დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის **ᲡᲐᲞᲐᲢᲝ ᲡᲘᲒᲔᲚᲘᲗ.**

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“ №4

ᲒᲐᲛᲝᲪᲛᲓᲐ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალის „საქართველოს კომუნისტის“ მეოთხე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა საბჭოთა ხალხს; სკკპ ცენტრალურ კომიტეტში — სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის მზადების შესახებ“.

ნომერში დამოქვეყნებულია მოწინავე — გარდაქმნის წახნაგები.

აბშლაგით „სოციალიზმის სრულყოფის პრობლემები“ დაბეჭდილია მ. მეჭედლოვის — **ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ** სოციალიზმი: „ზოგადისა და განსაკუთრებულის დიალექტიკა.

ჟურნალში დაბეჭდილია: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა საბჭოთა ხალხს; სკკპ ცენტრალურ კომიტეტში — სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის მზადების შესახებ“.

ნომერში დამოქვეყნებულია მოწინავე — გარდაქმნის წახნაგები.

აბშლაგით „სოციალიზმის სრულყოფის პრობლემები“ დაბეჭდილია მ. მეჭედლოვის — **ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ** სოციალიზმი: „ზოგადისა და განსაკუთრებულის დიალექტიკა.

● 26 აპრილი, 1987 წ. ●

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡᲐ

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ • ᲛᲝᲕᲚᲝᲠᲔᲑᲘ

ᲣᲒᲘᲠᲗᲕᲝ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲒᲐᲓᲐᲕᲓᲒᲐᲗ ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲣᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ

ᲛᲗᲔᲚᲘ მსოფლიოს გაზეთების პირველი გვერდები კვლავ აჭრელებულია სათაურებით „საბჭოეთის მძლავრი საგაზაფხულო სამშვიდობო შეტევის“ — სსრ კავშირის ინიციატივების შესახებ, რომლებიც მიზნად ისახავენ ორი დიდი სახელმწიფოს ბირთვული არსენალების შემცირებას და, უწინარეს ყოვლისა, საშუალო სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ ხელშეკრულების მიღწევას. ეს წინადადებანი გახდა განხილვის საგანი საბჭოთა კავშირ-ამერიკის უენევის მოლაპარაკებაზე, რომელიც განახლდა 23 აპრილს.

ცხადყო რა თანამედროვეობის ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანისადმი კონსტრუქციული და პასუხისმგებლური მიდგომა, საბჭოთა ხელმძღვანელობა, როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანთან ჯ. შულცთან მოსკოვში გამართულ ამასწინანდელ მოლაპარაკებებზე დათანხმდა, რომ მორიგდნენ საშუალო სიშორის რაკეტების პრობლემის თაობაზე და იგი დაუკავშირონ ოპერატიულ-ტაქტიკურ რაკეტებს: როგორც კი ხელს მოაწერენ საშუალო სიშორის რაკეტების შესახებ ხელშეკრულებას, ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტები გამოიტანონ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკიდან და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან. ექსპერტთა აზრით, არსებობს იმის რეალური შესაძლებლობა, რომ ასეთი შეთანხმება უკვე წელსვე დაიდოს.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი პერსპექტივა სულაც არ იწვევს მსოფლიოში ერთმნიშვნელოვან რეაქციას. შეთანხმების დადებას, რომელსაც შეუძლია გაათავისუფლოს ევროპა ბირთვული ტვირთისაგან, მიესალმება კონტინენტის მილიონობით მცხოვრები. ამ მხარდაჭერის დამაჯერებელი დადასტურება გახდა, კერძოდ, მშვიდობის მთხრეთა მასობრივი საგაზაფხულო გამოსვლები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, რომლებშიც მონაწილეობდა ასეათასობით ადამიანი. ამ მანიფესტაციების დროს ხაზგასმით აღინიშნა, რომ საბჭოთა ინიციატივები ისტორიულ შანსს იძლევიან. „მოგვეცით სიცოცხლისა და მომავლის უფლება! მოაშორეთ ჩვენს ქვეყანას „პერშინგ-2“ ბირთვული და ფრთოსანი რაკეტები“! — ასეთი ლოზუნგები იყო წარწერილი პლაკატებზე, რომლებიც დემონსტრანტებს მოჰქონდათ. საფრანგეთის გაზეთ „ლუმანიტე დიმანშის“ მიერ მოწყობილი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის თანახმად, ფრანგების დიდი უმრავლესობა მხარს უჭერს გამალებული შეიარაღების ალაგმვას, მიესალმება სსრ კავშირის ბოლო ინიციატივებს.

რაც შეეხება ნატოს ქვეყნებს, და უფრინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელებს, ჯერჯერობით მხოლოდ აბსტრაქტულად გამოხატავენ ოპტიმიზმს იმ პერსპექტივის გამო, რომელიც იკვეთება. ჟენევის მოლაპარაკების განახლების წინ პრეზიდენტი რ. რეიგანი შეხვდა რესპუბლიკელთა ლიდერებს კონგრესში ამ წრის პრობლემების თაობაზე. როგორც თეთრი სახლის წარმომადგენლის ცნობა მოწმობს, პრეზიდენტმა მათ აგრძნობინა, რომ ჯერჯერობით მკაფიო პოზიციურ პასუხს ვერ გასცემს საბჭოთა ინიციატივებს. „ისე ვერ გავკადნიერდები, გარაუდებს მოგვცე“, — თქვა რეიგანმა, როცა უპასუხა კითხვას შესაძლებელია თუ არა შეთანხმების დადება წელს?

მსოფლიოს ხალხები მოელიან, რომ ამერიკის ადმინისტრაცია და მისი მოკავშირენი განახორციელებენ საბჭოთა კავშირის მოქმედების ადეკვატურ ღონისძიებებს, და მოუწოდებენ ვაშინგტონს გამოიყენოს შექმნილი უნიკალური შესაძლებლობა უბირთვო მსოფლიოს გზაზე ნაბიჯის გადასადგმელად.

● ᲐᲨᲨ

ᲛᲝᲣᲬᲝᲓᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐᲡ

ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲚᲔᲚᲗᲐ ᲞᲐᲚᲐᲢᲐᲛ ᲗᲮᲐ ᲛᲘᲡᲘᲐ ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲣᲚᲘ ᲨᲔᲢᲔᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲕᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ ხმა მისცა იმას, რომ რეიგანის ადმინისტრაციამ დაიცვას სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მეორე ხელშეკრულება და უარი თქვას მიწისქვეშა ბირთვულ გამოცდებზე, რომელთა სიმძლავრე ერთ კილოტონას აღემატება. უკანასკნელი დებულება ძალაში შედის საბჭოთა კავშირის მხრივ ანალოგიურ მორატორიუმზე თანხმობის შემდეგ. ასეთი ღონისძიებანი გათვალისწინებულია მთავრობისადმი დამატებით ასოვნებათა შესახებ კანონპროექტში შესწორებებით, რომელიც წარმომადგენელთა პალატამ მიიღო ხუთშაბათს ღამით ხანგრძლივი და ცხარე კამათის შემდეგ. კანონპროექტს მხარი დაუჭირა 28 კონგრესმენმა, წინააღმდეგი იყო 178.

როგორც კანონპროექტის განხილვისას აღნიშნა კონგრესმენმა ნორმან დიქსმა, სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების დაცვა თვით ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უშიშროების ინტერესებს შეესაბამება.

წარმომადგენელთა პალატამ უარი თქვა მიღებულ კანონპროექტში დაკმაყოფილოს ადმინისტრაციის მოთხოვნილება მიმდინარე საფინანსო წელს რეიგანის „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივისათვის“ დამატებით 500 მილიონი დოლარის გამოყოფის შესახებ და გააუქმოს თანამგზავრსაწინააღმდეგო იარაღის გამოცდის აკრძალვა.

◆ ᲒᲖᲠ

ᲐᲕᲒᲔᲓᲘᲗᲘ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲠᲐᲙᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲚᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲑᲝᲜᲜᲘ. პენტაგონმა შეიმუშავა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ახალი ამერიკული რაკეტების განლაგების გეგმები. ამას იუწყება ინფორმირებული გაზეთი „ბილდი“, რომელიც იმოწმებს „ნატოს სარწმუნო წყაროებს“. გაზეთი წერს, რომ ვაშინგტონი აპირებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ამ ქვეყანაში უკვე დისლოცირებული ამერიკული რაკეტულ-ბირთვული საშუალებების დამატებით განლაგოს კიდევ 500-დან 1000 კილომეტრამდე მოქმედების რადიუსის 130 ბირთვული რაკეტა. როგორც გაზეთი აღნიშნავს, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა შულცმა ეს გეგმები აცნობა ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთევროპელ პარტნიორებს ჩრდილოატლანტიკურ ბლოკში 16 აპრილს ბრიუსელში ნატოს საბჭოს რიგგარეშე სესიაზე. მაგრამ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო უარყოფს „ბილდის“ ამ პუბლიკაციას და ამტკიცებს, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ასეთი ცნობა არავისთვის არ მიუწოდებია.

ᲐᲕᲦᲐᲜᲔᲗᲗᲐᲜ ᲡᲝᲚᲘᲓᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ

ᲨᲔᲠᲘᲒᲔᲒᲘᲡ ᲨᲔᲣᲨᲕᲔᲕᲐᲓᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ

21-27 Ა�პᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲮᲚᲝᲒᲐᲓᲝᲑᲠᲝᲑᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲐᲕᲦᲐᲜᲔᲗᲗᲐᲜ ᲡᲝᲚᲘᲓᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲚᲔᲚᲗᲐ ᲞᲐᲚᲐᲢᲐᲛ ᲗᲮᲐ ᲛᲘᲡᲘᲐ ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲣᲚᲘ ᲨᲔᲢᲔᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲕᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ. ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲠᲔᲖᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲗ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲐᲥᲢᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲘᲗ ᲓᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲓᲐ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔ Ჯ. ᲨᲣᲚᲪᲗᲐᲜ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲛᲡᲐᲬᲘᲜᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲗᲐᲜᲮᲛᲓᲐ, რომ მორიგდნენ საშუალო სიშორის რაკეტების პრობლემის თაობაზე და იგი დაუკავშირონ ოპერატიულ-ტაქტიკურ რაკეტებს: როგორც კი ხელს მოაწერენ საშუალო სიშორის რაკეტების შესახებ ხელშეკრულებას, ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტები გამოიტანონ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკიდან და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან. ექსპერტთა აზრით, არსებობს იმის რეალური შესაძლებლობა, რომ ასეთი შეთანხმება უკვე წელსვე დაიდოს.

**უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი პერსპექტივა სულაც არ იწვევს მსოფლიოში ერთმნიშვნელოვან რეაქციას. შეთანხმების დადებას, რომელსაც - შეუძლია გაათავისუფლოს ევროპა ბირთვული ტვირთისაგან, მიესალმება კონტინენტის მილიონობით მცხოვრები. ამ მხარდაჭერის დამაჯერებელი დადასტურება გახდა, კერძოდ, მშვიდობის მოძრაობა და გარან

ხიდი მეგობრობისა

საყოველთაოდ ცნობილია ევროპის ქალაქების მეგობრობის საბჭოს ნაყოფიერი მუშაობის შედეგები. მსგავსი ინფორმაციის საშუალებებით უკვე ვიცით, რომ მარტო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქებთან უკვე 15 საბჭოთა ქალაქს აქვს დამყარებული მეგობრული ურთიერთობა.

მომდინარე წლის 29 მარტიდან 1 აპრილამდე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ საარბრიუკენში გაიმართა დაძმობილებული ქალაქების წარმომადგენლების პირველი კონფერენცია, რომლის მუშაობაში თელავის საბალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე რამაზ ქურციკაშვილიც მონაწილეობდა.

სწორედ იქ, ქალაქების წარმომადგენელთა პირველ შეკრებაზე იმოცა თავისი აღრესატი თელავის წარმომადგენლის მეშვეობით ქალაქ ბიბერახის ობერ-ბურგომისტრის მიერ 1984 წლის ერთ-ერთ სხდომაზე მიღებულმა გადაწყვეტილებამ საბჭოთა კავშირის რომელიმე ქალაქთან პარტნიორული კავშირის დამყარების შესახებ.

რ. ქურციკაშვილი პირადად ჩავიდა ბიბერახში, შეხვდა, ქალაქის ხელმძღვანელებს და მოსახლეობის წარმომადგენლებს, გაეცნო ქალაქს.

— და აი, ამ დღეებში ბიბერახის დელეგაცია ობერ-ბურგომისტრ კლაუს ვილჰელმ ჰოფმანის, მისი მეუღლის, ქალბატონ კრისტა ჰოფმანის, ობერ-ბურგომისტრის პირველი საპატიო მოადგილის მაქს ჰაგელის, სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარის ვერნერ კრუგის, ქრისტიანულ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარის კარლ პაინც ბროკის, დამოუკიდებელ მოქალაქეთა („მწვანეების“ პარტიის) ფრაქციის თავმჯდომარის ზიგრიდ ოსტ-მაიერის, მიუნხენის გაზეთის „სუდდეუნტშე ციიტუნგის“ რედაქტორის ვუფ რაიხერის და ბიბერახის ადგილობრივი გაზეთის „შვებიშე ციიტუნგის“ მთავარი რედაქტორის გიუნტერ დახინტენის შემადგენლობით თელავს ეწვია.

მრავალფეროვანმა, საინტერესო შედგენილმა პროგრამამ შესაძლებლობა მისცა სტუმრებს კარგად გასცნობოდნენ თელავის ღირსშესანიშნაობებს, მის წარსულსა და აწმყოს, რის შემდეგაც სტუმარ-მასპინძელთა წარმომადგენლებმა თელავის დრამატული თეატრის საზეიმოდ მორთულ ფოიეში ხელი მოაწერეს ორი ქალაქის დაძმობილების ტრაქტატს.

— აქ გატარებულმა დღეებმა დაგვარწმუნა, რომ ბევრი რამ აქვთ საერთო ჩვენ ხალხებს, პირველ ყოვლისა კი ისინი საერთო მიზანს — მთელ პლანეტაზე მშვიდობას ისწრაფიან, — თქვა ბიბერახის ობერ-ბურგომისტრმა, ევროპის ქალაქების საბჭოს პრეზიდენტის მოადგილემ კლაუს ვილჰელმ ჰოფმანმა.

— თელავი შესანიშნავი ქალაქია თავისი მდიდარი ისტორიული წარსულითა და აწმყოთი, ხალხიც მტლად გულთბილი და სტუმართმოყვარეა. გვწამს ჩვენი მეგობრობის, და გვიხარია, რომ მისი პირველი ნაბიჯების უშუალო მოწაწილენი ვართ, — განაცხადეს დელეგაციის წარმომადგენლებმა.

— ორი ქალაქის მეგობრობა, რომელსაც აქ, პატარა კახეთ ქალაქში ჩაეყარა საფუძველი, ჩვენი ქვეყნების ხალხთა მისწრაფების ანარეკლია. ქალაქებისა და ქვეყნების ასეთი დაძმობილება მშვიდობის განმტკიცების საფუძველთა საფუძველია. — თქვა მეგობრობის ტრაქტატზე ხელმოწერისას რ. ქურციკაშვილმა.

თელავის და ბიბერახის მდიდარი ისტორიის ფურცლებში მეგობრობის ხელშეკრულებაც ჩაიბეჭდა.

დ. ბერგიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სურათზე: ბიბერახის ობერ-ბურგომისტრი კლაუს ვილჰელმ ჰოფმანი (მარცხნიდან მეორე) თელაველთა სტუმარი.

ჟურნალ „უკრაინის“ ფურცლებზე

საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა და ლიტერატურულ-მხატვრულმა ყოველკვირეულმა ჟურნალმა „უკრაინამ“, რომელიც დიდი ოქტომბრის 70 წლისთვის წინ თავის მკითხველებს აცნობს ჩვენი ქვეყნის მომძლე რესპუბლიკების ცხოვრებას, თავისი მე-16 ნომერი თითქმის მთლიანად საბჭოთა საქართველოს მიუძღვნა.

ჟურნალი აქვეყნებს საუბარს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის წარჩინებულ მუშასთან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთან გურამ მეტონიძესთან, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ოთარ ჭინქლაძის სტატიას ცნობილ პედაგოგნოვატორის შალვა ამონაშვილის შესახებ. ჟურნალში დაბეჭდილია გულნარა ბახტაძის ნარკვევი „ათი მზე, ათი სიხარული“.

საქართველოს მცხოვრებთა გმირობის ამბავს, რომლებმაც ორგანიზებულობა და სიმტკიცე დაუპირისპირეს სტიქიის შემოტევას, იმას, თუ როგორ ერთსულოვნად ისწრაფვოდნენ საბჭოთა ადამიანები დახმარებოდნენ დაზარალებულებს, უამბობს მკითხველს ჟურნალის სპეციალური კორესპონდენტი პ. გოლოვკო.

ჟურნალი უხვად არის ილუსტრირებული. ფოტოსურათების ავტორები არიან ჟურნალ „დროშის“ ფოტოკორესპონდენტები თარხან არჩვაძე, ბონდო დვალიშვილი და სხვები.

ᲒᲘᲒᲚᲝ

ᲪᲔᲓᲐᲪᲮᲐ წლის წინათ მოხდა ეს ამბავი. ათას ცხრაას ორმოცდაჩვიდმეტი წლის ცხრამეტ იანვარს. არ დავმალავ, ჩვენ, მწერლები, ხანდახან, ათასი მიზეზის გამო, მოქმედების ადგილსა და თარიღს გადავწყ-გადმოვწევთ ხოლმე, ისე, როგორც საქმეს მოუხდება. ეს ამბავი კი ზუსტად ოცდაცხრა წლის წინათ მოხდა — ათას ცხრაას ორმოცდაჩვიდმეტი წლის ცხრამეტ იანვარს. ზუსტადმეთქი, უფრო იმიტომ მოგახსენებთ, რომ ახლა ათას ცხრაას ოთხმოცდაშვიდი წლის ცხრამეტი იანვარია.

* * *

ქალაქ მუჟუჟიის აღმასკომის თავმჯდომარის მისაღებში ოცდაათიოდე წლის, თეთრმოსასხამიანი, ელამი ახალგაზრდა გიგილო ცხადაძე შევიდა და მდივანს ჩუმად, მინაუროვით ჰკითხა:

— ბევრი ჰყავს ხალხი?

— არავინ არ ჰყავს, მარტოა.

გიგილოს მდივანი გოგონას პასუხი გაუკვირდა და არც მოეწონა. ურჩევნოდა, ეთქვათ, „დაკავებულია“, „ბევრი მთხოვნელი ჰყავს“. „დღეს ვერ მიგიღებთ, სხვა დროს მობრძანდითო“. ჯერ ერთი, იმიტომ რომ მისაღებებში ამგვარი პასუხი უფრო ბუნებრივად ჟღერს. მეორეც, გიგილო მიჩვეული იყო ცოტა გაბრძოლებების შემდეგ შესვლას დიდ კაცთა კაბინეტებში. ჯიუტად მოიცდიდა, წყენას ხმამაღლა გამოთქვამდა, ამასობაში საოქმელსაც უკეთ მოიფიქრებდა და შესვლისას პირველი სიტყვაც მზად ექნებოდა: „ძლიერ შემომშვეს, ბატონო, თქვენთანო“. ახლა კი რაღაც ისე არ გამოდის, „როგორც ჩანს, თავმჯდომარე არაავის ღებულობს“, გაიფიქრა.

გიგილო ფანჯარასთან მივიდა. აღმასკომის დარაჯი, ყოფილი ლოთი ბოკერია ხეებიდან თოგლს ბერტყავდა. ტოტს რომ დაიჩენენდა, განზე გახტომას ლამობდა, მაგრამ ვერ ასწრებდა და მზედაღვრილი თოგლი თავზე ბრწყინვაბრკიალით ეფრქვეოდა.

— შეხვალ? — ჰკითხა მდივანმა გოგონამ.

— შევალ, თუ შემიშვებ. მოახსენე, ცხადაძეა, პირად საქმეზეთქვა.

— არ უნდა „მოხსენება“, შედი და შენ თვითონ უთხარი.

გოგონამ მწვანე საქაღალდეს პირი მოუკრა, კარადაში შეჩურთა, წამოდგა, ჩაიჩაჩული ქვედაკაბა გაისწორა და კარი გაუღო.

აღმასკომის თავმჯდომარედ იმ ხანად პიმენ როხვა მუშაობდა. პიმენი ათას ცხრაას სამოცდაერთ წელს, ყველასაგან მოულოდნელად, მაკულატურის შემგროვებელი კანტორის უფროსად გადაიყვანეს. ექვსი თვის შემდეგ დაჭერეს და მხოლოდ წელწადნახევარი იჯდა. განთავისუფლების მერე არქივს განაგებდა და ახლაც იქ იქნებოდა, შარშან, ზამთარში თითით დატვირთული მანქანა რომ არ დასჯახებოდა და არ გარდაცვლილიყო.

არსებობს ეგრეთ წოდებული თავმჯდომარული ალღო, რომლის მეშვეობითაც თავმჯდომარეები ხშირად ხვდებიან მთხოვნელის შემოსვლის მიზანს. ერთს ახედავენ და, თითქოსდა, სტუმარს შუბლზე ეწეროს, რა საკითხია მოსული, ამოიოხრებენ და გუნებაში უარიც მზადა აქვთ. მერე რაც ხდება, თვითდინებით მიმდინარეობს. თითქოსდა გრძნეულმა რეჟისორმა სამუდამოდ დაკანონა უმკაცრესი სცენა: შენ ცდილობ, რაც შეიძლება, გულისამჩუყებლად სთხოვო; ის ცდილობს, რაც შეიძლება უსაფუძვლოდ მოგაჩვენოს შენივე სათხოვარი და, ბოლოს, თუ „უარი არ გეყო“, ყალბი დაპირებით გამოგისტუმროს. მთხოვნელებს ამ ბოლო დროს სწორი დასკვნები გამოაქვთ ამგვარი შეხვედრებიდან და კაბინეტის მესვეურის რამდენიმე საეჭვო ფრაზას: „ვეცდებით, გამოიარეთ, დავსვამ საკითხს, მოვეთათბირები ამხანაგებს. მე პირადად ხელს არ შეგაწლით, პირიქით, რაც შემიძლია ხელს შეგიწყობთ...“ გამოსვლისას ერთბაშად, ერთი სიტყვით აფასებენ: „უარი მითხრა“.

ეს ყოველივე სიტყვას მოჰყვა. მკითხველს კი ვთხოვ მხედველობაში იქონიოს, რომ ეს ამბავი ოცდაცხრა წლის წინათ მოხდა- და გიგილო ცხადაძეც არ გახლავთ მთლად ჩვეულებრივი მთხოვნელი. ასე რომ იყოს, რასაკვირველია, ეს ნოველა არ დაიწერებოდა.

პიმენ როხვამ იცნო სტუმარი, მაგრამ მეტს ვერაფერს მიხვდა. წამოუდგომლად გაუწოდა მარჯვენა, მარცხენათი სკამზე მიუთითა და სანამ გიგილო დაჯდებოდა, დროის მოგების მიზნით ჰკითხა:

— თქვენ ხომ იყავით ჩემთან?

— კი, ბატონო, — დაეთანხმა გიგილო.

— მერე? კიდევ არ გაკეთდა ის საქმე? რა საქმე იყო? გამახსენე, თუ კაცი ხარ, გადამვარდა გულიდან.

ცხადაძემ თვალი შეავლო თავმჯდომარის დაღლილ სახეს, შეტრუსულივით მოკლე და ქერაფცუა წარბებს ზემოთ, შუბლზე აწეულ სათვალეს, უბასმენირებულ, ბალანმორეულ ხელისუფრას და მუჭში ჩაახვევა.

— თქვენ თვითონ დამიბარეთ, ბატონო პიმენ, ნაახალწლევს, თუ გახსოვთ.

— ეგ როგორ არ მახსოვს, რაზე იყო მაგი?

— რაი?

— თვითონ საქმე გამახსენე.

— მამაჩემის. საქმე იყო, — თითქოს და განგებ ძუწსიტყვაობდა სტუმარი.

— ჰო. რა მამაშენის?

— რეაბილიტაციის სჯმე.

— გვარი მითხარი, — თავმჯდომარემ უჯრა გამოსწია. გრძელი, რუხი ბლოკნოტი ამოიღო და წინ დაიდო.

— ცხადაძე შერმადინი, — შეაშველა მოსულმა.

— მოიცა, ცხადაძე, ცხადაძე შერმადინი. აგერაა, განთლების განყოფილების გამგედ მუშაობდა, გოდოგან-ყვახჭირ-საყულიის ზონა ებარა, პროფესიით ისტორიკოსი, ხომ მართალია?

— კი ბატონო, ეგ არის.

— მერე? — თავმჯდომარემ ბლოკნოტი დაკეცა და უჯრაში ჩააბრუნა.

— ვიყავი იქანა. მალალმა, ბობრმა კაცმა მომიღო, ცალი ხელი პროტეზის ჰქონდა. გვარი არ უთქვამს. ამოატანია საბუთები. დიდხანს აქნია თავი და მერე მე მომბრუნდა: ოცდაერთში გამოარე, მანამდის კომისია განიხილავს და მოგვცემს თავის დასკვნასო. დღეს რა რიცხვია? ცხრამეტი ხომ? ზეგ უნდა მივიდე.

— გაკეთებულა საქმე, — პიმენი წამოდგა და წელსდელზე უფრო ღონივრად, საზეიმო იერით ჩამოართვა ხელი. გიგილომ ხელი გაითავისუფლა და კვლავ სკამზე დაჯშვა.

— სათხოვარი მაქვს, პიმენ ბატონო, თქვენთან.

— ჰო, გისმენ, — თავმჯდომარემ მუშტები ერთმანეთს დაწყო და ზედ ნიკაპი ჩამოადო.

— არ შეიძლება ეს საქმე გავაჩეროთ?

— რა საქმე?

— მამაჩემის რეაბილიტაციის საქმე. მაქვს მე უფლება, უარი ვთქვა მამაჩემის რეაბილიტაციაზე? თუ მაქვს?

პიმენი გ